ხელშეკრულება №01-03/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **10 იანვარი, 2020 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **ირინე აბულაძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: სს „ვენჯორჯია", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გიორგი მშვილდაძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.74ბ
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი";
კოდი: BAGAGE22;
ანგ. № GE16BG0000 0008 3867 9400
საიდენტიფიკაციო კოდი 404885335

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 08.01.2020წ. N9321 სამსახურებრივი ბარათის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელით 2020 წლის 10 იანვარს დაგეგმილ საახალწლო წვეულებაზე მოწვეული ბავშვებისათვის (მათ შორის ქ. თბილისის, ქ. რუსთავის და ქ. ქუთაისის მიუსაფარი ბავშვების სერვისების - დღის ცენტრების, სადღეღამისო თავშესაფრების ბენეფიციარი ბავშვები და ა.შ.) **სადილით უზრუნველყოფის მომსახურების (CPV:5530000) შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2382.70 (ორიათას სამას ოთხმოცდაორი ლარი და 70 თეთრი)** ლარს:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1.	პიცა პეპერონი	20	11.90	238.00
2.	პიცა მარგარიტა	20	11.90	238.00
3.	ოთხი ყველის პიცა	20	11.90	238.00
4.	პიცა კაპრიჩოზა	20	11.90	238.00
5.	ქათმის პიცა	20	11.90	238.00
6.	პიცა ბელისიმო	18	11.90	214.20
7.	ბეკონატორის პიცა	15	11.90	178.50
8.	სანდორას ფორთოხლის წვენი	150	2.00	300.00
9.	სანდორას ვაშლის წვენი	150	2.00	300.00
10.	სანდორას ალუბლის წვენი	100	2.00	200.00
		სულ:		**2382.70**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის ასიგნებები: „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

მომსახურება უნდა განხორციელდეს 2020 წლის 10 იანვარი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის N52).

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე;
7. 2 მიწოდებული კერძები უნდა იყოს საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი.
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4 შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პროტოკოლის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კვარაცხელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე

14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
მინისტრის პირველი მოადგილე	**გენერალური დირექტორი**
ირინე აბულაძე	**გიორგი მშვილდაძე**
---	---

ხელშეკრულების პროექტი მოამზადა:

შესყიდვების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

/ნათია ჭიკაძე/ ----------

შეთანხმებულია:

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი /მარიამ ტაბატაძე/----------

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე /ნანა ფერაძე/----------

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი /ალექსანდრე მელქაძე/ ----------

სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი /გიორგი შეშაბერიძე/----------

მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი:

სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი

/ეკა კვიტაშვილი/ _____

კონტროლის განმახორციელებელი პირი:

პროტოკოლის სამმართველოს მეორე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი /ნანა კვარაცხელია/ _____